პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | ხუთშაბათი, 5 მარტი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 49 (737) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## განცხადება.

ტფილისის სამაზრო-საქალაქო ყრილობა გაიხსნება 15 მარტს, დილის 10 საათზე.

დღის წესრიგი და ადგილი ცალკე იქნება გამოცხადებული.

მაზრის დელეგატები უნდა გამოცხადდენ აღმასკომის სამდივნოში (ოთახი № 5) არა უგვიანეს 14 მარტისა სათანადო მანდატების მისაღებათ.

ტფილისის საბჭოს წევრებმა უნდა მიიღონ თავის დროზე სარაიონო საარჩევნო კომისიებში დროებითი მანდატები.

პრეზიდიუმი.

## საბჭოთა კავშირი-თანასწორთა კავშირია.

ჩვენი მტრები—მენშევიკები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები მუდამ იმას გაიძახიან, რომ საბჭოთა კავშირი აშენებულია მცირე ერების ჩაგვრაზე და ძალმომრეობაზე. ყველგან სადაც კი ისინი გამოჩნდებიან მათი შხამიან ენა მხოლოდ ამ საზიზღარ ცილისწამებას გადმოანთხევს. „რუსეთის წითელმა იმპერიალიზმმა დაიპყრო საქართველო და დაიმონავაო“—ამბობენ მენშევიკები.

მართალია განა ეს? მოუსმინოთ საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს.

აი რა სთქვა მან მესამე სესიის საზეიმო სხდომაზე:

„მოწყობა სახელმწიფოსი, რომელშიაც არის 130 მილიონი მცხოვრები და მრავალი სხვა და სხვა ეროვნება, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე პატარა ერიც მიიღებს თავისუფლებას თავისი ეროვნული განვითარებისათვის“.

და შემდეგ: „მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული განვითარების თავისუფლების საფუძველზე შეიძლება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოსახლე ერების შეკავშირება.“

ეს სიტყვები საუცხოვოდ ამათილებენ ჩვენი მტრების ჭორებს.

საბჭოთა კავშირი არის თავისუფალ და თანასწორ ერთა კავშირი, და არა დაჩაგრულ ერების ერთ რომელიმე გაბატონებული ერის ხელქვეით ძალით გაერთიანება, როგორც მაგალითად ინგლისია. საბჭოთა კავშირის ძლიერება სწორედ იმაშია, რომ ის ნებაყოფლობის და თანასწორ უფლებიანობის საფუძველზეა აგებული. საბჭოთა კავშირის ძლიერება მასში მდგომარეობს, რომ ის უზრუნველყოფს ეროვნულ მშვიდობიანობას, ძმურ თანამშრომლობას და თითეული ერის ყოველმხრივ განვითარება-წინსვლას.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ რაც უნდა არ იყოს იმას, რომ თითეულმა გლეხმა, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის: საქართველოში, აბხაზეთში თუ შორეულ აღმოსავლეთში, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობს გაბატონებული ერი; რომ ჩვენი კავშირი არის თანასწორ უფლებიან ერთა კავშირი, რომ ჩვენი მთავრობა არ წარმოადგენს ერთი რომელიმე ეროვნების მთავრობას.

ჩვენ იქამდინ უნდა მივაღწიოთ აუცილებლად, რომ ჩვენი დიდი კავშირის მცხოვრებმა არა მარტო უნდა იცოდეს, არამედ გრძნობდეს და იყოს დარწმუნებული, რომ ჩვენს კავშირში არ აქვს რომელიმე ერს მეორესთან შადარებით რაიმე უპირატესობა“, ამბობს ამხ. რიკოვი.

ჩვენ გვწამს, რომ მესამე სესიის შემდეგ საქართველოში აღარ დარჩება არც ერთი პატიოსანი მშრომელი, რომელსაც არ სცოდნოდეს რომ:

საბჭოთა კავშირი თანასწორთა და თავისუფალ ერთა კავშირია.

## ახალი რადიო-ამბები.

### ოსმალეთში მომხდარ აჯანყების შესახებ.

#### ოსმალეთის მთავრობა გადადგა.—აჯანყებულები წინ მიიწევენ.

განხეთქილება აჯანყებულთა შორის.—მდგომარეობა სერიოზულია.

### ოსმალეთის მთავრობა გადადგა.

ორ მარტს შესდგა ოსმალეთის სახალხო პარტიის კრება, რომელზედაც ირჩეოდა საშინაო პოლიტიკის საკითხები. სხდომას შედეგად მოყვა ფეხტი—ბეის კაბინეტის გადადგომა.

### აჯანყებულები წინ მოიწევენ.

ანატოლიის სააგენტო იუწყება:

აჯანყებულთა საგრძნობმა ძალებმა შეუტიეს გიგის, მაგრამ მოგერიებულ იქნენ მოსახლეობის მიერ. ჯეზირეტში დააპატიმრეს 5 შეიხი, რომლებიც მიგზავნილი იყვენ აჯანყებულთა მეთაურის—შეიხ—საიდსაგან. მათ აღმოაჩნდა 200.000 ოსმალური ოქროს ლირა.

მათ მიზნად ჰქონდათ აბდულ—ჰამიდის ერთ—ერთი შვილის გამოცხადება ხალიფად.

### განხეთქილება აჯანყებულთა შორის.

იტყობინებიან განხეთქილების შესახებ აჯანყებულთა შორის. განხეთქილება გამოიწვია იმან, რომ არიან უკმაყოფილონი შეიხ—საიდის მიერ შედგენილ მთავრობით.

საიდმა დაირქვა სარწმუნოებისათვის მებრძოლთა უზენაესი მეთაურის სახელი. აჯანყებულები სძარცვავენ სოფლებს სურსათის შეძენის მიზნით, რაიც მოსახლეობაში აღშფოთებას იწვევს.

ხმებია, რომ ვითომც მოხალისეები, ნესტორიანები (ქრისტიანული სექტა) და სომხებიც კი უერთდებიან აჯანყებულებს ქურთისტანით გაერთიანებულ დამოუკიდებელ სომხეთის შექმნის მიზნით.

### მდგომარეობა სერიოზულია.

მიუხედავად ხარფუთისა და გიგის მოსახლეობის ერთგვარი გამარჯვებისა აჯანყებულებზე, მდგომარეობა მაინც შემაფიქრებელია.

მოსულის ყოფილი გუბერნატორი ნაზიფი გამოსთქვამს გაზეთში აზრს, რომ აჯანყება მოწყობილია სტამბოლშიო. აჯანყებულები სრულიადაც არ არიან ქურთების დამოუკიდებლობის შეურიგებელი მომხრეები, ვინაიდან მათ შორის ქურთებზე მეტი ოსმალოებია.

## იაპონია-საბჭოთა შეთანხმების გარშემო.

### ელჩები დაინიშნებიან მაისის შუა რიცხვებში.

კოტარომ, მოჩიცუკმა და მთავრობის სამი პარტიის 8 წევრმა შეიტანეს დეპუტატთა პალატაში შემდეგი რეზოლიუცია:

იაპონიის სეიმის ქვემო პალატა ულოცავს იაპონიასა და საბჭოთა კავშირს მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

ელჩების გაცვლა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის მოხდება სახალინის ევაკუაციის შემდეგ, დაახლოებით მაისის შუა რიცხვებში,

რეზოლიუცია ერთხმად მიიღო პალატამ.

## ამხ. სადულის საქმე.

აპრილის პირველ რიცხვებში ქალაქ ორლეანში დაიწყება საფრანგეთის კომუნისტის-ამხ. სადულის გასამართლება.

## კერზონის განცხადება.

### მიზეზი ისაა, რომ ინგლისის ბურჟუაზიას დიდი მადა აქვს.

ლორდთა პალატაში (ინგლისში) კერზონმა განაცხადა: მთავრობა ფიქრობს, რომ ასეთი სერიოზული ზომა, როგორიცაა ინგლისის ჯარების გაჩერება კელნისზონაში, შეიძლება გამოწვეულ იქნას მხოლოდ სერიოზული მიზეზებითო.

## იმპერიალიზმი განაგრძობს შეიარაღებას.

ძლიერ ხშირად რადიოს მოაქვს ცნობა იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები ეპირებიან კონფერენციის მოწვევას შეიარაღების შემცირების მიზნით. დრო გადის მაგრამ ასეთ კონფერენციას არვინ არ იწვევს. შეიძლება არც მოიწვიონ და თუ ასეთს ადგილი ექნება, ის არავითარ დადებით შედეგებს არ მოიტანს, ვინაიდან კაპიტალისტური სახელმწიფოები სრულიად არ ფიქრობენ თავისი შეიარაღებული ძალების შემცირებაზე. პირიქით მთელი მათი ენერგია და მოქმედება მიმართულია სამხედრო ძალების გაძლიერებისაკენ. თუ თვალს გადავავლებთ ბურჟუაზიულ პრესას, ჩვენ დავინახავთ თუ რა რიგ გააფთრებულ კამპანიას აწარმოებს ის შეიარაღების გადიდების სასარგებლოთ. მივმართოდ პირდაპირ ფაქტებს.

ამერიკა. მიმდინარე წელში ამერიკის მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასდო ჩვეულებრივი სამხედრო ხარჯებისათვის 330 მილიონი დოლარი (დოლარი უდრის 2-ნახ. მანეთს), ხოლო ძველი გემების შესაკეთებლად და 8 ახალი კრეისერის ასაშენებლად 113.360.000 დოლარი. აგრეთვე გადადებულია დიდძალი თანხა სამხედრო საჰაერო ფლოტის გასაძლიერებლად, რომელიც შეიცავს დღეს 740 თვითმფრინავს. გარდა ამისა ამერიკის პრესა ენერგიულ კამპანიას ეწევა შეიარაღების გადიდებისათვის.

ინგლისი. მთავრობაში შეტანილია დასამტკიცებლად გეგმა, რომლის მიხედვით განზრახულია ახალი 4 კრეისერის აშენება. მაგრამ ამ გეგმაში არის უზარმაზარი წყალქვეშა ნავების აშენება. ორი ასეთი წყალქვეშა ნავი უკვე ააშენეს. ამასწინად რადიომ მოგვიტანა ცნობა, რომ მთავრობამ გაადიდა სამხედრო საჰაერო ფლოტის ხარჯები 1.972.000 სტერლინგით. სამი წლის უკან ინგლისის სამხედრო საჰაერო ფლოტი შესდგებოდა სამი ესკადრისგან, ამჟამად კი ის შეიცავს 18 ესკადრას. ამ წელში განზრახულია კიდევ 8 ახალი ესკადრის შექმნა. გარდა ამისა ინგლისი დიდათ აძლიერებს თავის საზღვაო ფლოტს კოლონიებში, სადაც ძველი გემების მაგიერ გზავნის ახლებს, გაუმჯობესებული სამხედრო იარაღებით.

საფრანგეთი. საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა გემთა საამშენებლო პროგრამა, რომლის ძალით აშენებული იქნება 778.000 ტონის წყალმტევი გემები. წყალქვეშა ფლოტი აყვანილი იქნება 112 ერთეულამდე. გარდა ამისა განზრახულია შორსმსროლელი სანაპირო ბატარეების აშენება.

ამასწინად კომუნისტმა რენოდელმა გაილაშქრა საფრანგეთის მილიტარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ და შეიტანა წინადადება პარლამენტში, რომ ჯარი შემცირებულ იქმნას 1913 წელს არსებულ ნორმამდე, რაც შეამცირებს სახელმწიფო ხარჯებს ორ მილიარდ ფრანკით. რასაკვირველია ამ წინადადების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრენ ყველამ გარდა კომუნისტებისა. საფრანგეთს ყველაზე უფრო ძლიერი საჰაერო ფლოტი ყავს, რომელიც 1.200 თვითმფრინავისაგან შესდგება.

აი როგორ იარაღდება იმპერიალიზმი. ჩვენ განგებ ავიღეთ სამი მსხვილი იმპერიალისტური სახელმწიფო, ვინაიდან ამ სამისაგან დამოკიდებული არიან დანარჩენი წვრილი ბურჟუაზიული ქვეყნები, რომლებიც დიდის ენერგიით მიბაძავენ თავიანთ მფარველ პატრონებს.

რას გვეუბნება ყველაფერი ეს? იმპერიალიზმი აძლიერებს თავისი სამხედრო ძალებს ჭდა გამალებით ემზადება ახალი სისხლის ღვრისათვის.

ცხადია მისი პირველი შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ამიტომ ჩვენც მზად უნდა ვიყოთ მოსალოდნელ თავდასხმისათვის.

მეტის ენერგიით შეუდგეთ წითელ არმიის რიგების განმტკიცებას, მისი საბრძოლო უნარის ამაღლებას! გავაძლიეროთ სამხედრო საჰაერო ფლოტი და ქიმიური თავდაცვის საქმე!

ჩვენ ძლიერი უნდა ვიყოთ ჩვენ მტრებზე!

მუდამ გახსოვდეს ეს ამხანაგო წითელ-არმიელო!

—ე.

# საკავშირო ცაკის მესამე სესიის გახსნა.

მარტის 3, სახელმწიფო საოპერო თეატრში, სალამოს 6 საათსა და 50 წუთზე, გაიხსნა საკავშირო ცაკის მესამე სესია. მრავალრიცხოვანი დელეგაციები მუშებისა, პროფესიონალურ და წითელ-არმიელთა ორგანიზაციებისა და აგრეთვე გლეხების დელეგაციები საქართველოსა და ამიერ-კავკასიის დანარჩენ რესპუბლიკების სხვა და სხვა მაზრებისა იმყოფებიან სესიის სხდომის დარბაზში. შესავალ სიტყვას ამბობს ს. ს. ს. რ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი.

## ამხ. კალინინის სიტყვა.

თავისი სიტყვის დასაწყისში ამხ. კალინინი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ცაკის ეს სესია იხსნება ამიერ-კავკასიის დედა ქალაქ—თბილისში. ამით—ამბობს ამხ. კალინინი—ჩვენ ვასრულებთ საბჭოთა პირველი ყრილობის პირველი მოწვევის სესიის გადაწყვეტილებას. ამ ნაბიჯის გადადგმის მიზეზს წარმოადგენს ერთის მხრივ საერთაშორისო ხასიათის მიზეზები, რის შესახებაც ამხ. რიკოვი და ჩიჩერინი ლაპარაკობდნენ ბაქოს საბჭოს საზეიმო სხდომაზე და რაზედაც თავის სიტყვაში ალბად შეჩერდება ამხ. ჩიჩერინი და აგრეთვე შინაური ხასიათის მიზეზები. ამ უკანასკნელთა შორის ძირითად მიზეზს წარმოადგენს სურვილი, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს კავშირი სხვადასხვა ხალხთა შორის, რომელნიც ჩვენ კავშირში შედიან. მეფობის დროს რუსეთში მყოფ ყველა ხალხის შემაკავშირებელ ელემენტს წარმოადგენდა ძალბდობა. უზარმაზარი სივრცე, რომელიც დედა-მიწის ერთ მეექვსედს წარმოადგენდა, მეფობის დროს თითქოს შემორკალული იყო რკინის სალტებით, რომლებიც ყოფილ მეფის იმპერიას არ აძლევდენ შესაძლებლობას, რომ იგი ცალ-ცალკე ნაწილებად დაყოფილიყო.

ჩვენ არსებობას საფუძვლად დაუდეთ ერთა თვითგამორკვევა, ამის გამო უნდა შეცვლილიყო აგრეთვე სახელმწიფოს მმართველობის მეთოდები. პირველი, რაც ამ მხრივ შეიქმნა აუცილებელი—ეს იყო სრული თანასწორობის მინიჭება ყველა ხალხისათვის. რომელიც კი ჩვენს კავშირში შედის. მაგრამ თუ კავშირის წინაშე დაისვა საკითხი სრული ეროვნული გათანასწორების შესახებ, ამისი აუცილებელი პირობა უნდა იყოს კავშირის ამოცანების სისწორით გაგება არა მარტო ცენტრის მიერ, არამედ ადგილების მიერაც. ადგილებმა სავსებით უნდა გაიგონ ცენტრალურ ხელისუფლების მოქმედებანი. აი ეს არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი, რომელმაც გამოიწვია ამ სესიის ქალაქ თბილისში მოწვევის აუცილებლობა.

მართალია, ამის გამო ჩვენ ალბად შევხვდება მთელი რიგი უხერხულობათა საორგანიზაციო და ტეხნიკურ ხასიათისა. მაგრამ ეს უხერხულებანი არ წარმოადგენენ თავის თავად ჩვენი მუშაობისათვის სერიოზულ საფრთხეს და უეჭველია დაიფარება იმ დიდი სარგებლობით, რომელსაც მოიტანს ჩვენი მუშაობა სწორედ აქ, ამიერ-კავკასიის ფედერაციის დედა-ქალაქში.

დანარჩენ თავის სიტყვაში ამხ. კალინინი ჩერდება საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკის მნიშვნელობაზე და საბჭოთა ხელისუფლების წყობაზე, რომელიც ანგარიშს უწევს ეროვნული საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ამხ. კალინინის სიტყვის უდიდესი ნაწილი შეეხება გლეხობის საკითხს. იგი ამბობს:

— გლეხობის საკითხის სწორეთ გადაწყვეტაზედ არის დამოკიდებული ჩვენი კავშირის არსებობის სიმტკიცე, მისი კულტურული და ეკონომიური შემდეგი განვითარება. აი ჩვენი მთავრობაც სწორედ იმისთვის აქცევდა უდიდეს ყურადღებას გლეხობის საკითხს. ყველაზე მეტი ყურადღება კი სწორედ ეხლა მიაქცია ამ საკითხს ჩვენმა მთავრობამ. იყო დრო, როცა მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთობის საკითხი არ წარმოადგენდა ჩვენთვის ისეთ სიძნელეს, როგორსაც წარმოადგენს ეხლა იგი. იყო დრო, როცა მუშათა კლასს და გლეხობას ჰქონდა მთლიანი, ორთავე კლასისათვის გასაგები და ცხადი ამოცანა: რომ მიეყვანათ გამარჯვებამდის ოქტომბრის რევოლიუცია. ეხლა კი, როცა ჩვენ წინ წამოიჭრენ უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანები, როცა ცხოვრება შესამჩნევად გართულდა, როცა ჩვენ ვამჩნევთ ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებას, მუშათა კლასის და გლეხობის ურთიერთობის საკითხი უკვე ვეღარ გადაიჭრება ისე ადვილათ, როგორც ის ხდებოდა სამოქალაქო ომის დროს.

გლეხობის საკითხს ამ ჟამად ართულებს კიდევ ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიური განვითარება სავსებით ვერ აკმაყოფილებს ნივთიერ და კულტურულ მოთხოვნილებების ზრდას. მაგრამ იმ ნივთიერ და კულტურულ მოთხოვნილებებს გარდა, რომელთაც გვიყვენებს ჩვენ გლეხობა, სოფელი ამ ჟამად კიდევ მეტ მოთხოვნილებებს უყენებს ჩვენს, დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატს. ჩვენ უნდა დავდგომოდით გადამჭრელ ზომების გზას ამ დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების დარგში და თქვენ იცით, რომ უკანასკნელ დროს ჩვენ მოსკოვში მოვიწვიეთ სპეციალური თათბირი, რომელმაც ყურადღება მიაქცია დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საკითხებს. ეს იყო პირველი ნაბიჯი და ჩვენ ამ მხრივ წინ გვიდგას კიდევ აუარებელი მუშაობა.

თავისი სიტყვის უკანასკნელ ნაწილს ამხ. კალინინი ანდომებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს. ის ამბობს, რომ მთავრობა ყოველივე ძალღონით სცდილობს შეუმსუბუქოს გლეხობას გადასახადის ტვირთი. მიმდინარე სესია გაარჩევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხს, ამასთან ერთად მთავრობა თავის მხრივ წინადადებას შემოიტანს, რომ შემცირებული იქნეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ციფრი. შარშან წელთან შედარებით წელს ეს ციფრი მცირდება დაახლოებით 30—40 პროც. მთავრობამ გლეხობას გადასახადი ასე შეუმსუბუქა მაშინვე, როგორც კი დაეტყო ერთგვარი გაუმჯობესება ჩვენს სახელმწიფო ბიუჯეტს. მაგრამ სასოფლო სამეურნეო გადასახადის ციფრის შემცირების გარდა შეცვლილი იქნება აგრეთვე მისი აკრეფის ფორმებიც იმ მხრივ, რომ ამ შემთხვევაში გლეხობას გაცილებით უფრო გაუადვილდეს გადასახადის გადახდა წინანდელ წლებთან შედარებით.

ეს პატარა მაგალითი მოწმობს იმას, რომ მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს გლეხთა მასების ინტერესებს.

ამხ. კალინინი დარწმუნებულია, რომ მუშების და გლეხების კავშირი, რომელსაც ემყარება საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება, მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება.

ამხ. კალინინის სიტყვას ფარავს მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

## სესიის დღის წესრიგის დამტკიცება.

ამხ. კალინინის სიტყვის შემდეგ სესია ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

**1) საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენება.**

**2) ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება.**

**3) საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი.**

**4) სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.**

დღის წესრიგის და რეგლამენტის მიღების შემდეგ თავმჯდომარე ამხ. კალინინი წინადადებას იძლევა საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენება მოსმენილი იქნას საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსთან ერთად.

ეს წინადადება მიღებული იქნა საკავშირო საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მიერ. სიტყვა საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენებისათვის ეძლევა საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რიკოვს, რომლის გამოსვლას ტრიბუნაზე მთელი დარბაზი ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით ხვდება.

## ამხ. რიკოვის მოხსენება.

ამხ. რიკოვის სიტყვა საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.



მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. რიკოვი შეეხო საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობას და აღნიშნა, რომ გასული წელი ჩატარდა საბჭოთა კავშირის ცნობით მთელ რიგ სახელმწიფოების მიერ.

შემდეგ ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ დასავლეთ ევროპაში ამ ჟამად შემჩნეულია ბურჟუაზიული პარტიების მოღონიერება, მაგრამ, რასაკვირველია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პარტიების გაძლიერება მუდმივი და შეუცვლელი იყოს.

მომხსენებელი შეეხო შორეულ-აღმოსავლეთის საკითხს და აღნიშნა, რომ იაპონიასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ ეს საკითხი შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს.

შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო ჩვენს დამოკიდებულებას ინგლისთან, ამერიკასთან და საფრანგეთთან და აღნიშნა, რომ მეფის ვალების გადახდას ჩვენ არ ვაპირობთ, მაგრამ ეს არ უშლის ხელს საქმიან შეთანხმებას საფრანგეთთან.

სიტყვის პირველი ნაწილის მომხსენებელმა განაცხადა, რომ საგარეო პოლიტიკაში მთელი ჩვენი ღონისძიება მიმართულია იქეთ, რათა ხელი შეუწყოთ მშვიდობიანობას.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ჩვენ საშინაო პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ „ნეპის“ პერიოდმა მოგვცა ჩვენ საგრძნობი შედეგები. სათესი მოედანი ავიდა 84 პროც. დი ომის დრომდე შედარებით, სასოფლო-მეურნეობა საქონლის ხასიათს ღებულობს. მრეწველობა უკანასკნელ წლის განმავლობაში გაიზარდა 31 პროცენტით. მაგრამ მრეწველობის ზრდა არ ესაბამება ბაზრის გაფართოებას. ჩვენი მრეწველობა კიდევ ვერ აკმაყოფილებს სავსებით მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

თავისი სიტყვა ამხ. რიკოვმა დაასრულა სოფლისა და ქალაქის დაახლოების საკითხის გაშუქებით.

ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ „კულაკის“ გაძლიერებაზე, მაგრამ მე მგონია, რომ ეს გაუგებრობა არის. არა ყოველი შეძლებული გლეხი არის კულაკი. კულაკი ის არის, ვინც სხვისი შრომით სცხოვრობს, ვინც დაქირავებული შრომით აფართოებს თავის მეურნეობას. მაგრამ გლეხმა, რომელმაც საკუთარის შრომით შესძლო თავისი მეურნეობის კარგად მოწყობა,—ასეთი გლეხი განსაკუთრებით დასაფასებელია საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვინაიდან სიღატაკეზე ვერ ავაგებ სოციალისტურ მეურნეობას. ჩვენში ეს ხშირად ავიწყდებათ.

## ცაკის მესამე სესიის მეორე სხდომა.

4 მარტის დილის სხდომას თავმჯდომარეობს ამხ. პეტროვსკი. სხდომა იწყება ამხ. ჩიჩერინის თანამოხსენებით. ჩიჩერინს მხურვალე ტაშით ხვდება სესია.

ამხ. ჩიჩერინი აღნიშნავს ახალი მომენტების მთელ რიგს საერთაშორისო გარემოებაში და გადადის ჩვენი ურთიერთობის დახასიათებაზე დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებთან.

## საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარის ამხ. ჩიჩერინის თანამოხსენება

### საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ.

### მდგომარეობა ინგლისში.



ინგლისი—ამბობს ამხ. ჩიჩერინი—როგორც წინად გავლენიანი სახელმწიფოა მსოფლიო სახელმწიფოებში, ვინაიდან მისი ბატონობის სამხედრო-საზღვაო ბაზა გავრცელებულია მთელს დედა-მიწის ზურგზე და მისი ბანკები ძველებურად ამუშავებს ფულებს მსოფლიო ვაჭრობაში.

თუმცა ინგლისის მდგომარეობა ისეთი ვერ არის, როგორც წინად იყო და შეიძლება ითქვას, რომ ზღვის ბებერმა კატამ ზოგიერთი კბილი მოიმტვრია. (სიცილი) აპირველ ყოვლისა ინგლისის მდგომარეობაზე გავლენა მოახდინა თვითგამორკვეულ კოლონიების—დომინიონების დამოკიდებულების შეცვლამ.

ამ დომინიონებს არ მოსწონთ ინგლისის კომანდრობა მათზე, არამედ იმათი სურვილია ანგარიში გაუწიოს მათ ინგლისმა ისეთ საკითხებში, რომლებიც მათ ყველაზე უფრო აინტერესებს. ეს დომინიონები უშლიან ხელს ინგლისის მთავრობას ბევრ რამეში.

საქმე იმაშია, რომ დომინიონები ყველაზე უფრო ახლოს არიან თეთრების ბატონობის საკითხთან ფერად კანიანთა (ინდუსების, ზანგების და სხვა) ტომებზე. ზოგიერთი დომინიონები მომხრე არიან ფერადი ტომების ექსპლოატაციისა, ზოგიერთები კი ამის წინააღმდეგ მიდიან.

ასე რომ დომინიონების საინტერესო საკითხი ეს არის საკითხი თეთრების მსოფლიო ბატონობისა.

მიტომაც ეს დომინიონები მომხრენი არიან იმის, რომ ინგლისის მთავრობამ მტრული პოზიცია დაიკავოს ჩვენი პოლიტიკისადმი, რომელიც აღიარებს ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას.

მეორე ფაქტი, რომელიც გავლენას ახდენს ინგლისის მდგომარეობაზე—ეს არის განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიებში (ახალშენებში) მოსახლეობის შორის.

### ინგლის-ამერიკის მეგობრობა.

ინგლისის პოლიტიკა გამოიხატება ამერიკასთან ხელიხელ ჩაკიდებულად სვლაში. ოქროთ გაბერილი ამერიკა მშვიდობიან და ძმურ განწყობილებაშია ინგლისთან და მათ შორის ჯერ არ გამომჟღავნებულა უთანხმოება.

მაგრამ უთანხმოება მალე იჩენს თავს. ამის პირველი მაგალითია ჩინეთი, სადაც ამ ორ[...] სახელმწიფო მეგობრულ განწყობილებაში აგჩნდა პატარა ნაბზარი, რომელიც შეიძლება ნაპრალად იქცეს.

### საფრანგეთი.

**საფრანგეთი რაღაცას აპირებს.**

განზე სდგას საფრანგეთი[...] მას თავისი საკუთარი მისწრა[...]ფებანი და ინტერესები აქვ[...] ის დიდის სიამოვნებით მო[...]ბრუნებდა თავის პოლიტიკა[...] საბჭოთა კავშირთან დაახლო[...]ბის, ოსმალეთში და საერთო[...] აზიაში მეგობრულ კავშირი[...] განმტკიცების საქმეში—წინა[...]აღმდეგ ინგლისის პოლიტიკი[...]სა. მისი ინტერესები თითქმ[...] მთელ დედამიწის ზურგზე ეწ[...]ნააღმდეგება ინგლისის ინტე[...]რესებს. მაგრამ საფრანგეთი შებოჭილია ფინანსიური რეჟ[...]მით. მსოფლიო ფინანსიურ[...] ძალა ინგლისის ხელშია. ამ[...] გარდა საფრანგეთი ჩაჭერ[...]ლია ვერსალის ხელშეკრულე[...]ბაში, რომელსაც სანამ ის ა[...]სებობს, საფრანგეთი ვერს[...] ვერ გაექცევა.

ამიტომაც საფრანგეთს ახ[...]სიათებს მიკიბულ-მოკიბული პ[...]ლიტიკა, მერყეობა, სცდ[...]ლობს ვითომც დამოუკიდებ[...] პოლიტიკის წარმოებას, მაგრა[...] ბოლოს და ბოლოს მაინც ა[...]ტანტის კუდში მიჩანჩალებს[...] მაგრამ საფრანგეთი რიღა[...] თვისაც ემზადება. მაშ [...] არის ეს უზარმაზარი საჰ[...] ერო ფლოტი? რათ უნდა [...] ეს წყალქვეშა ნავები? მომ[...]ვალი ახალ შემთხვევებს ა[...]ზადებს.



## „წითელი არმიელი“ ყველამ უნდა გამოიწეროს.

28 თებერვალს ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლაში ‑დგა მესამე ასეულის შემადგენლობის საერთო კრება.

სხვა საკითხებთან ერთად კრებაზე გაირჩა გაზ. „წითელ ‑მიელის“ დახმარების საკითხიც.

მოხსენების შემდეგ, რომელზედაც გაშუქებული იქნა ‑ეთის გავრცელების მნიშვნელობა **კრებამ ერთხმად დაად‑ ‑ნა, გაუწერონ გაზ. „წითელ არმიელი“ სოფლის „ქოხ‑ ‑კითხველოებს ერთი წლით.**

მოეწყო გაზეთზე კოლექტიური ხელის მოწერა.

კრების დადგენილების თანახმად თითეული უფროსი მე‑ ‑ური იწერს თითო გაზეთს ერთი წლით. თითეული უფრო‑ ‑ კურსის 4 კურსანტი ერთ ცალს ერთი წლით.

უმცროსი კურსიდან 6‑სი ერთ ცალს და მოსამზადებე‑ ‑ კურსიდან კი 10 ერთ ცალს თითო წლით.

ამნაირად მთელმა მესამე ასეულმა გამოიწერა ერთი წლ‑ ‑ 33 ცალი გაზეთი.

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მცირე ოდენი დახმარება მოი‑ ‑ნს ორგვარ სარგებლობას. ასწევს გაზეთის ტირაჟს და შემ‑ ‑გ, კი მისი სოფლის ქოხ‑სამკითხველოებში გაწერით, კავ‑ ‑რს გავაბამთ და დაუახლოვდებით ერთმანეთს ჯარი და სო‑ ‑ელი.

**თითეულ გლეხს აინტერესებს წითელი არმია, მისი ‑ოვრება და საბოლოო მიზანი.** ყველა ამას მისცემს‑გააც‑ ‑ბს მას გაზ. „წითელი არმიელი“. გამოუწეროთ სოფლებს ‑ენი გაზეთი.

სამხკორი კენჭაძე.

## წითელი არმიის არსებობის შვიდი წლის თავის ზეიმი.

არმიის შვიდი წლის არსებობის თავის დღესასწაული ‑ვენივრად ჩავატარეთ 6‑სე ლეგ. მეცხრე ასეულში.

ყაზარმა მორთული იქნა მწვანე ტოტებით და ზედმიწევ‑ ‑თ დაცული იყო სისუფთავე. დღესასწაულის ჩატარებაში ‑დ აქტიურობას იჩენდენ თვით წითელ‑არმიელები და წი‑ ‑ელი მეთაურები. ყველა აღფრთოვანებული იყო, რადგან ‑ დღეს უნდა მიგვეღო პროფკავშირიდან დროშა ადგილობ‑ ‑ვ აღმასკომის საშვალებით. წ. არმიელების სადილი გაუმ‑ ‑ობესებული იქნა. სადილათ მოპატიჟებული იქნენ ადგილო‑ ‑ივი მუშათა დაწესებულებები, რომლებმაც მიულოცეს ასე‑ ‑ს დიდი დღესასწაული.

საათის ხუთზედ მუშათა კლუბში გაიხსნა საზეიმო სხდო‑ ‑. იყო მილოცვები სხვა და სხვა ამხანაგებიდან, ბოლოს ‑ცელი მოხსენებით გამოვიდა ასეულის პოლიტ ხელმძღვა‑ ‑ლი, რომელიც შეეხო წ. არმიის ისტორიას და ამასთანავე ‑მსწრე საზოგადოებას გააცნო ტერ‑სისტემა და მისი მნიშ‑ ‑ელობა.

კრების დასასრულს პროფკავშირებმა ჩააბარეს ასეულს ‑როშა.

დ. ჭანკვეტაძე.

## დიდი დღესასწაულები 2‑რე ლეგიონში.

საქართველოს გასაბჭოების 4‑ხი წლის თავი და წითე‑ ‑ არმიის 7 წლის არსებობის თავი, მეორე ლეგიონში დიდი ‑ფრთოვანებით იქნა ჩატარებული. გაკეთებული იქნა მოხ‑ ‑ნებები დღესასწაულების მნიშვნელობის შესახებ.

გაიმართა სალამოები და დაუახლოვდით ადგილობრივ ‑შათა სამოქალაქო ორგანიზაციებს. ლეგიონის ეზოში გაი‑ ‑რთა აღლუმი. დაესწრნენ ყველა მუშათა ორგანიზაციები. ‑რომის კომუნალურმა მეურნეობამ კი ამ დღეს ლეგიონს ‑დასცა დროშა. აღლუმის შემდეგ გაიმართა ჭიდაობა და შემდეგ სადილი, რომელზედაც მოწვეული იყვენ ადგილო‑ ბრივი მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლეგიონერი.

## მეთაურთა საარტილერიო სკოლა.

ჩვენი სკოლა თანდათანობით ნორმალურ ნიადაგზე დგება თავის მუშაობით. თუმცა ძველ კურსანტებს ოდნავ შეკვიწყდა მეცადინეობა, მაგრამ მიზეზი ის იყო, რომ სკოლამ მიიღო ახალი კურსანტები და მათ განაწილებას და ახალი მეცადინეობის ცხრილის შედგენას დრო დასჭირდა, მაგრამ ამ ჟამად ყველა ესენი მოგვარებულია.

პოლიტ—საათი სისტემატიურად სწარმოებდა და სწარმოებს. კურსანტებიც დაინტერესებული არიან მით და ერთ სიტყვასაც არ სტოვებენ უყურადღებოდ.

ლენინის კუთხეც გამოკეთდა და სწარმოებს ხმა მაღალი მეცადინეობა. კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ აღნიშნული კუთხის ხელმძღვანელნი ხშირად ჩაატერებდენ საუბრებს კუთხეში. გაზეთები ყოველ დღე სისტემატიურად მოგვდის. მკითხველებიც ბევრი გვყავს. სანიტ. საათი კვირაში ერთხელ ტარდება და დიდი ყურადღებით უსმენენ და ითვისებე.

სამუილ ბიროვნელი.

## სანიტარული განათლება.

სანიტარულ განათლებას წითელ—ჯარში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. პოლიტსაათთან ერთად ნაწილებში ტარდება სანსაათიც. ლენინის კუთხეებში ეწყობა სანიტარული განყოფილებები შესაფერის ლოზუნგებით, პლაკატებით სურათებით და სხვა. სანიტარული დარგში სამუშაოდ ჩათრეულია ძედ. შემადგენლობა, რომელიც აწყობს ნაწილებში საუბრებს, ლექციებს.

ამ მხრივ დიდ დახმარებას უწევს ქართულ ნაწილებს სახ. ჯანმრთელობის კომისარიატის დრამატიული დასი, რომელიც სრულიად უსასყიდლოთ მართავს ლექცია‑წარმოდგენებს ქართული ნაწილებისთვის ცენტრალურ კლუბში. დასში შედიან დამსახურებული მსახიობნი ვ. გამყრელიძე, ელ. ჩერქეზიშვილი და აგრეთვე რონელი, ადამიძე, მარგო. ს. წერეთელი და სხვანი.

ყოველ პიესას წინ უძღვის ლექცია ამა თუ იმ თემაზე. ლექციებს კითხულობენ ქართველი ექიმები ლომოური და ელიაშვილი.

აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი წითელ—არმიელები ხალისიანად ესწრობიან ამ წარმოდგენებს და გულ—მოდგინეთ ისმენენ ლექციებს.

ორშაბათს, მარტის 2, დასმა გამართა თავისი მორიგი სალამო. ექიმ ელიაშვილმა გააკეთა მოხსენება წითელი—ჯვრის საზოგადოების შესახებ, აუხსნა არმიელებს, თუ რა მიზნებს ისახავს წითელი ჯვარი მშვიდობიან და ომის დროს.

შემდეგ დაიდგა ს. წერეთელის პიესა „წითელი ჯვარი“. პიესამ ჩაიარა მწყობრად და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებლებზედ.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება 15 მარტს.

ე. ხუციშვილი.

## პირველ ლეგ. 9‑რე ასეულის ცხოვრებიდან.

მეცხრე ასეულის წითელი არმიელების უმეტესი ნაწილი წერა‑კითხვის უცოდინარი იყვნენ, მაგრამ მათი წითელ ჯარში მიწვევის დღიდან დიდი ყურადღება მიექცია ამ გარემოებას. მათ დაენიშნათ მასწავლებლები, რომლებიც დიდ ენერგიას ხარჯავენ წერა‑კითხვის უცოდინარ წითელ‑არმიელებზე. ასეულებში წერა‑კითხვას სწავლებას აქვს დათმობილი ორ‑ორი საათი დღეში. წითელი არმიელები დიდ ბედნიერებად სთვლიან თავს, რომ მათ წერა‑კითხვას ასწავლიან. ხშირად, აღტაცებით წამოიძახებენ: „ჩვენ ძლიერ ბედნიერები ვართ, რომ წერა‑კითხვას ვსწავლობთ, ჩვენ მშობლებს არ უსწავლებია ჩვენთვის წერა‑კითხვა და აქ წითელ ჯარში საბჭოთა ხელისუფლება გვასწავლისო“.

სულ მცირე ხნის განმავლობაში მასწავლებლების ენერგიული შრომის შემწეობით 9‑რე ასეულში არ იქნება არც ერთი წერა‑კითხვის უცოდინარი.

აღსანიშნავია ის, რომ 9‑რე ასეულის წითელი არმიელები წინ მიიწევენ არა მარტო წერა‑კითხვის შესწავლაში, არამედ სამხედრო საქმეშიც დიდ ენერგიას იჩენენ.

პოლიტ‑საათები ტარდება მეტად მდაბიო ენაზე, რაც დიდ ნაყოფს სტოვებს მსმენელებზე.

ლენინის კუთხეში ტარდება ხმა მაღალი კითხვა გაზეთების და იმართება საუბარი სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე.

პ. ბერძენიშვილი.

## გესმის ტფილისო!

(სალამი სტუმრებს)

გესმის ტფილისო!
რომ დღეს შენს ქუჩებს,
საუკუნებით სისხლით მორწყულს
ცეცხლის დროშები დასთამაშებენ.
ელვისო მალი
გიქმაჟი ჩქარი,
ხუთ წვერ ჩირაღდნათ
დაჭნათის ქალაქს.
გესმის ტფილისო!
მრომ დღეს იცინის
აშვრალთა გული,
და სიხარულის საზღვარს ვერ ჰპოებს
ხალხი მშრომელი.
ეხ! შენ შავს დღეებს
ბევრი ახსოვს,
მეჯლისობა და სტუმრობა სხვისი:
ეს იყო ცრემლი,
ეს იყო კვნესა,
ეს იყო დრტვინვა
მშრომელი ხალხის.
და ის სტუმრები
სისხლითა რწყავდენ
მაშვრალთ ქოხმახებს,
თვეობით წლობით
სცარცვავდნენ,
სწვავდნენ
ჩვენს საქართველოს.
აქ მზადდებოდა
მაშხალები,
დინამოები
მშრომელთ სამეფოს
ასაკლებლათ, ასაოხრებლათ,
და შავს ძაძებში
ირწეოდა ტფილისი ნელი.
გესმის ტფილისო!
ვინ გეწვია შენ დღეს სტუმრებათ.?
ლენინის, დიახ, დიდ ლენინის
ცეცხლის გვარდია,
რომელმაც შეჰქმნა
ოქტომბერი
ლენინის მცნებით.
დღეს სიცილია.
აქ მეჯლისია,
ობა, ზეიმი,
ხარობს ქვეყანა
თავისუფალი,
მორთულია წითლად
ცეცხლის ტფილისი.
სალამი სტუმრებს,
მესვეურებს
მშრომელთა ხალხის,
და კომუნიზმის
მებაირახტრეთ.
სალამი ფიცით
ჩვენც მათთან ერთად
ვივლით წინ, ვივლით
ლენინის გზაზე.
და დღეს კი ვაშა
საყვარელ სტუმრებს;
სალამი სტუმრებს!
სალამი სტუმრებს!

გოგიტო ციმბირელი.

# პარტიული ცხოვრება.

## ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის უჯრედების მუშაობა.

მას შემდეგ რაც ჩვენი სკოლის მთლიანი უჯრედი დაიშალა და ცალცალკე შესდგა ასეულებში უჯრედები, სკოლაში პარტ‑მუშაობა კარგ ნიადაგზე დადგა. აქამდე სკოლის უჯრედი აერთიანებდა 90‑ზე მეტ პარტიის წევრს და კანდიდატებს.

უჯრედის ბიურო ვერ სწვდებოდა სამუშაოს და ყველა პარტიულ ამხანაგების დაახლოვება და მათი ჩაბმა აქტიურ პარტ‑მუშაობაში თითქმის შეუძლებელი იყო.

სკოლის უჯრედის, ასეულების უჯრედებზე გადასვლამ კი დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს პარტ‑შემადგენლობას.

მთლიანი უჯრედი გადავიდა სამ ასეულის უჯრედათ. თვითეულ უჯრედში ამ ჟამად შედის 30‑ზე მეტი პარტიის წევრი და კანდიდატები და უნდა ითქვას, რომ მუშაობა ძლიერ გამოცოცხლდა.

სამივე უჯრედს აერთიანებს სკოლის ბიურო კოლექტივი, რომელიც სათანადო ხელმძღვანელობას უწევს ყველა უჯრედებს.

უჯრედები შეფობას უწევენ სხვა და სხვა ჩამორჩენილ სოფლებს. მაგ. სურამის სოფლები, წყნეთი და სხვა.

საშეფო უჯრედები უგზავნის პარტ‑წარმომადგენლებს, რომლებიც აკეთებენ მოხსენებებს დახმარებას უწევენ აგრეთვე გაზეთებით პლაკატებით და წიგნებით. ვეხმარებით სამკითხველოების მოწყობაში, უდგამთ წარმოდგენებს და სხვა.

აღსანიშნავია მესამე უჯრედის უკანასკნელი ღია კრების დადგენილებამ, კრებამ გადასწყვიტა საშეფო სოფლებისათვის სამოსწავლო ნივთების გაგზავნა, რაც ეხლავე მოყავთ სისრულეში.

უჯრედები კავშირში არიან აგრეთვე სამოქალაქო მუშათა უჯრედებთან.

უჯრედების მომზადებულ პარტ‑ამხანაგებზე მიმაგრებული არიან უფრო სუსტად მომზადებული პარტიის წევრები, კანდიდატები და უპარტიოელებიც.

პარტიულ დღეთ დანიშნულია პარასკევი. კრებები ხდება სისტემატიურად კვირაში ერთხელ. თვეში ერთხელ იმართება უჯრედების გაერთიანებული კრებები, რომლებზედაც უმთავრესად კეთდება კოლექტიური მოხსენებები კურსანტებისა და უფ. შემადგენლობის მიერ. უჯრედებს ამასთანავე მჭიდრო კავშირი აქვთ ასეულების ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედებთან. იმართება მათთან გაერთიანებული კრებები და ტარდება აღმზრდელობითი ხასიათის საუბრები.

ასე რომ სკოლაში პარტიული მუშაობა ამჟამად ძლიერ ნაყოფიერად მიმდინარეობს.

კურსანტი ჯაში.

## გამონაკლისს რად უნდა შეადგენდეს?

პირველი ლეგიონის ცხოვრებაში ერთ არა სასიამოვნო მოვლენას აქვს ადგილი. ჩვენი შიკრიკები ხშირად მთელ დღეობით უნდებიან სიარულს და დილიდან ისე დაღამებენ სიარულში, რომ სადილის ჭამასაც ვერ ეღირსებიან. რად ხდება ეს ჩვენს ლეგიონში? ნუ თუ შეუძლებელია რომ ერთი ცხენი იქნეს გადაცემული შიკრიკების განკარგულებაში? სხვა, გაცილებით უფრო პატარა ნაწილებში ასე ხდება—შიკრიკები უცხენოთ ფეხს არ ადგამენ და თავის დროზედაც აკეთებენ საქმეებს, არც იღლებიან და სადილიც არ ეკარგებათ.

ჩვენს შიკრიკებს კი ხშირად 16-20 ვერსამდე მანძილის გაკეთება უხდებათ დღეში და ყოველთვის ფეხით სიარული დიდი სასჯელია მათთვის.

საჭიროა ჩვენი ლეგიონის მესვიურები დროზე მიაქცევდენ ამ გარემოებას ყურადღებას და შეუმსუბუქებდენ შრომას ჩვენს შიკრიკებს.

ერთი ცხენი მათ განკარგულებაში გადაცემა არც ისე ძნელი უნდა იყოს ლეგიონისთვის.

სამხედრო სიმართლის მოყვარული.

## ბავშვები ჩვენი მზრუნველობის ქვეშ.

მეოთხე ტერ-ლეგიონს თავის მზრუნველობის ქვეშ ყავს აყვანილი ამხ. კამოს სახელობის გორის საბავშო სახლი. შესაძლებლობის ფარგლებში ლეგიონი ყოველგვარ დახმარებას უწევს აღნიშნულ სახლს.

10 თებერვალს საბავშო სახლის ბავშვებისა და ლეგიონის წითელ არმიელებთა შორის დაახლოების მიზნით კულტშეფის კომისიამ მოაწყო ლეგიონისავე კლუბში საღამო, რომელზედაც მოპატიჟებული იქნენ საბავშო სახლის მოწაფეები.

კლუბის დარბაზი ძლივს იტევდა ხალხს. დაესწრო გარეშე საზოგადოებაც. აიხადა ფარდა და სცენაზე გამოჩნდენ ლეგ. საკულტშეფო კომისიის წევრები და ბავშთა კრებული. საზოგადოება აღფრთოვანებულად მიესალმა მათ.

საღამო გახსნა ლეგ. კლუბის უფროსმა ამხ. ლომაძემ. საღამოს მნიშვნელობის შესახებ სიტყვით გამოვიდა ლეგ. სამხკომი. მომხსენებელმავე აცნობა საზოგადოებას, რომ ნიშნად მჭიდროდ დაკავშირებისა ლეგიონი გადასცემს საბავშო სახლს დროშას. ამ განცხადებას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშის ცემით შეეგება.

საჩხკომის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ლეგთავი ამხ. ზალინაშვილი, რომელმაც შეადარა ბურჟუაზიულსა და საბჭოთა ქვეყნებში უპატრონო ბავშთა მდგომარეობა. ამხ. მოუწოდებს პატარებს ცხოვრების მიზნად დაისახონ პროლეტარიატის ბელადის დიდი ლენინის „სწავლა, სწავლა და სწავლა."

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ წ. არმ. ნანეიშვილი, კლუბის უფ. ლომაძე და სხვა. დროშის გადაცემის შემდეგ საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ პატარა მოწაფეები, რომლებმაც ფიცი დასდეს, რომ ისინი შეეცდებიან გაამართლონ ის იმედები, რომლებსაც ამყარებენ მათზე ლეგიონი და მთელი მშრომელი ხალხი.

შემდეგ დაიდგა საბავშო პიესები, რომლებმაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს საზოგადოებაზე.

სამხკორი ჯღანკი.

## პირველი ლეგიონის საკლუბო მუშაობა.

მასიური მუშაობა.

ლეგიონის საკლუბო მუშაობაში დიდი გამოცოცხლება შეიტანა ასეულის მიერ გამართულმა საღამოებმა.

საღამოებისათვის ასეულების ყველა აქტივისტები წინასწარ აწარმოებენ მზადებას საკლუბო მეთოდების სხვა და სხვა ფორმებით (კედლის გაზეთი, ჟურნალი, დეკლამაცია და სხვა), და შეჯიბრში იწვევენ სხვა რომელიმე ასეულს.

1 თებერვალს ამ მიზნით საკავშირო გუნდის მიერ გამართუ იქნა საღამო, გუნდმა შეჯიბრში გამოიწვია მერვე ასეული.

დადგმულ იქნა პიესა: „ბატონი და ყმა" 3 მოქ. პიესის ჩატარების შემდეგ გაშვებულ იქმნა ცოცხალი სურათი „მუშის და გლეხის კავშირი".

8 თებერვალს 1-ლ ასეულმა ასეთივე მიზნით გამართა საღამო.

საღამოსათვის სპეციალურად გამოშვებული იქნა ჟურნალი „სინათლე" და კედლის გაზეთის მორიგი ნომერი. დადგმულ იქნა პიესები: „სტამბაში" 2 მოქმ. კომედია: „არც აქეთ არც იქით" 1 მოქმ. დასასრულს გაშვებულ იქნა დივერტისმენტი: ლექსები, სცენები და დუეტი". კუპლეტები აღნიშნულ ასეულის ცხოვრებიდან. ორივე საღამოების დაწყების წინ სწარმოებდა საუბრები შემდეგ თემაზე: საკლუბო მუშაობა და კოლექტიური შრომის მეთოდი ასეულებში.

23 და 25 თებერვალი.

ამ ორი დიდი დღესასწაულის ჩატარებისათვის კლუბის შენობა შესაფერისად გადახალისდა. გამოშვებული იქნა გადიდებულ ფორმატის კედლის გაზეთი „ტალა".

გაზეთში გაშუქებულია უმთავრესად წითელ-არმიელთა ყოფა ცხოვრება.

23 თებერვალს ლეგიონის კლუბში გვეწვიენ მეზობელ ქარხნის მუშები.

ამავე დღეს საღამოს 7 საათზე გაიმართა საზეიმო საღამო.

ვ. სიხარულიძე.

## სამხედრო საქმე

მახლობელი ძიება

მახლობელ ძიებას აწარმოებს ქვეითა ჯარის ნაწილები ბრძოლის დაწყების წინ. მახლობელი ძიების დაშორება არ აღემატება 25 ვერსტს. მისი მთავარი, დანიშნულებაა გაანათოს ის ადგილები, რომელზედაც მოუწევს ჯარებს მოქმედება, გასწმინდოს ის მტრის პატარა მაძიებლებისაგან.

თუ ვინცობაა აღმოაჩინა მტრის ძლიერი ნაწილები, დროზე და საჩქაროთ აცნობებს თავის მთავარ ძალებს, რათა ისინი მოემზადონ ბრძოლისათვის. მახლობელი ძიება თუ საჭიროა იკავებს დასაყრდნობ ზღუდეებს. მახლობელ ძიებას აწარმოებს ქვეითა ნაწილები თავისი ძალით. ამისათვის თითო დივიზიას ჰყავს ერთი ცხენოსანი ესკადრონი აგრეთვე ლეგიონებში არის მზვერავი ასეულები, რომლებიც შესდგებიან ორი ქვეითი და ერთი ცხენოსანი ოცეულისაგან.

გარდა ამისა ქვეითა დივიზიას აქვს საშუალება გამოიყენოს მახლობელ ძიებებისათვის ჯავშნიანი ავტომობილები, თვით მგორავები და აგრეთვე დივიზიის თვითმფრინავები. ზემო ჩამოთვლილი საშუალებანი სრულიად საკმარისია რომ წარმატებით აწარმოონ ტაქტიკური ან მახლობელი ძიება, რადგანაც მას წინ უძღვის ოპერატიული ძიება და მუდმივი მოქმედება ავიაციისა.

არის კიდევ ეგრეთ წოდებული დამფარავი ძიება ეს არის საჭირო ბრძოლის დროს დამფარავი ძიება გამოიხატება ფრთების და ზურგის უზრუნველყოფაში და ბრძოლის დროს თვალყურის დევნაში.

დამფარავ ძიებას აწარმოებს ნაწილის ყველა მეომრები და მეთაურები. ზურგის და ფრთების უზრუნველსაყოფათ იგზავნებიან მზვერავთა ჯგუფები, რომლებიც იკავებენ დაფარულ ადგილებს და განუწყვეტლივ უთვალთვალებენ.

ბრძოლის დროს თვალყურს ადევნებს ყველა მეომარი, რამდენათ შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის არის დანიშნული სპეციალურათ ხალხი, რომლებსაც ქვიან მოთვალთვალენი ყველა ოცეულის მეთაურს ჰყავს ერთი მოთვალთვალე ცხენოსან ჯარში ტყვიამფრქვევის ჯგუფეულის პირველი მწკრივის მესამე თარიღი ითვლება მოთვალთვალეთ.

ი. დოლიძე.

## უცხოეთის არმიებში.

თანამედროვე შეიარაღების ღირებულება.

სან ფრანცისკოს სანაპიროების გამაგრებისათვის ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებმა დასდგა 4 თექვსმეტ დიუმიანი შორს მსროლელი ზარბაზნები, რომელთა მოწყობა დაჯდა სულ ოთხი მილიონი დოლარი. ამერიკელებს ძლიერ ეშინიათ მათი სანაპირო ქალაქებზე თავდასხმის და სწორედ ამიტომ ამერიკის პრესაში თითქმის ყოველ დღე ლაპარაკი საზღვაო რეიდების შესახებ.

16 დუიმიანი ოთხი ზარბაზნის დამზადებისათვის დახარჯული 4-მილიონი დოლარი მათ უმნიშვნელოდ მიაჩნიათ იმ ზარალთან შედარებით, რომელიც შეიძლება გაუფრთხილებლობის გამო მიადგეს ქალაქს თანამედროვე დიდი კრეისერებიდან ყუმბარების დაშენით.

სხვა დანარჩენ სან ფრანცისკოს დასაცავად დადგმულ სანაპირო არტილერიის გამსროლის მანძილი არ აღემატება 25 ათას მეტრს, იმ დროს როდესაც სარეიდო ჯემების (დრედნოუტები და კრეისერები) მძიმე არტილერიის გასროლის მანძილი აღწევს 27—36 ათას მეტრამდე. სწორედ ამის გამო აღნიშნული ტიპის გემებს თავისუფლად შეეძლოთ ამერიკის სანაპირო ქალაქების განადგურება. ამ ჟამად დამზადებული მძიმე ზარბაზნები უფრო შორს ისვრის (45 ათას მეტრ.) ვინემ ზემოხსენებული გემების მძიმე არტილერია.

მაგრამ რადგანაც ამავე დროს მათ შეუძლიათ სროლის წარმოება 65 კუთხიანი გრადუსითაც და აქვთ შემცირებული ჭურვები, თამამად შეუძლიათ გაუბიცის მაგიერობის გაწევაც.

ინგლისი აძლიერებს თავის ხმელთაშუაზღვის საზღვაო ფლოტს.

ინგლისის ხმელთა შუა ზღვის საზღვაო ფლოტს ამ ჟამად მიემატა 10 სრულიად უახლესი კონსტრუქციის წყალქვეშა ნავებისაგან შემდგარი ფლოტილია. ამ წყალქვეშა ნავებიდან ორი დამზადებული იქნა გასულ წელში. ამ ფლოტილიის მისვლამდე. ხმელთაშუაზღვის ფლოტში ინგლისს მუდმივად არ ყავდა წყალქვეშა ნავების საჭირო კა[...]რი.

## № 2 ამოცანის გამოყვანა.

ამოცანა სისწორით გამოიყვანა პირველ საკავშირო ასეულის წითელ არმიელმა ფურცელაძემ.

მიცემული იყო:

| | | |
|---|---|---|
| 1 | 9 | 1 |
| 9 | | 9 |
| 1 | 9 | 1 |

1-ლი ქურდ.

| | | |
|---|---|---|
| 2 | 7 | 2 |
| 7 | | 7 |
| 2 | 7 | 2 |

2-რე ქურდ.

| | | |
|---|---|---|
| 3 | 5 | 3 |
| 5 | | 5 |
| 3 | 5 | 3 |

3-მე ქურდ.

| | | |
|---|---|---|
| 4 | 3 | 4 |
| 3 | | 3 |
| 4 | 3 | 4 |

4-ხე ქურ[დ.]

| | | |
|---|---|---|
| 5 | 1 | 5 |
| 1 | | 1 |
| 5 | 1 | 5 |

სულ მოიპარა მოსამსახურემ 16 ბოთლი ღვინო.

## ამბები სოფლებიდან

**ინვალიდების ნადები..**

შორაპნის მაზრაში ამჟამად არსებობს ინვალიდთა 27 ნადი, რომელიც აერთიანებს 84 ინვალიდს.

**ტელეფონი სოფლათ.**

გორის აღმასკომმა დაამტკიცა სოფ. გომში და რუისში ტელეფონის გასაყვანი ხარჯები.

**სახლი დავრდომილთათვის.**

გორის აღმასკომმა დაადგინა ადგილობრივ ინვალიდების საცხოვრებელ ბინათ გამონახოს სახლი და გადასცეს ი[...] ინვალიდთა საზოგადოებას.

**შეფობის მიღება.**

სიღნაღის მთლ. მომხ. ს[...]ზოგადოებამ გადასწყვიტა მ[...]ლოს თავის თავზე ადგილ[...]ბრივ მცველ-მხლებელთა [...]ზმის შეფობა.

**საძოვრები.**

მიწ.-მოქ. სახ. კომისარ[...]ტის მიერ გასულ წელს მთ[...] საქართველოში მოწყობილ [...]ნა 145 ათასი დესეტინა [...]ძოვარი.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეო[ბა]

ოზურგეთის მაზრა.

— **ზომლეთის თემი.** არჩევნები დასრულდა არჩეულია 30 დეპუტატი. აქედან კომუნისტი 8, ქალი 4.

— **აკეთის თემი.** არჩეულია 24 საბჭოს წევრი. მათ შორის 4 კომუნისტი, 1 კომკავშირელი და 3 ქალი.

— **მიქელ გაბრიელის თემი.** საბჭოში აირჩიეს 20 წევრი. მათ შორის 8 კომუნისტია და 2 ქალი.

შორაპნის მაზრა

— **შროშაში.** საბჭოში აირჩიეს 25 დეპუტატი. მათ შორის 3 კომუნისტი 2 კომკავშირელი და 2 ქალი.

— **მარელისში.** საბჭოს [...] ჩევნები დასრულდა. აირ[...] სულ 38 დეპუტატი. აქედა[ნ] კომუნისტია და 3 ქალი.

— **ძირულაში.** საბჭოში [...]რჩიეს 17 დეპუტატი' მათ შ[ო]რის 5 კომუნისტია და 2 [ქა]ლი.

— **ქვედა საზანოში.** საბ[...]ოს არჩევნები დასრულდა ა[...]ჩიეს 44 დეპუტატი.

— **ზედა საზანო.** საბჭო[ში] არჩეულ იქნა 23 დეპუტა[ტი] აქედან 3 ქალია და 2 კომუნ[ი]სტი.

— **ჩხარი.** საბჭოს წევრებ[ად] აირჩიეს 80 დეპუტატი. აქედ[ან] კომუნისტი 11, ქალი 5 და კ[ომ]კავშირელი 8.

## ახალი ამბები

— **წითელი არმიისა და ფლ. სახლი.** შემოდგომიდან წითელი არმიისა და ფლოტის სახლი, რომელიც ამჟამად გახსნილია ნიკოლოზის ქუჩაზე, გადმოტანილ იქნება ქ. დ. წითელ არმიელთა ცენტ. კლუბის ბინაზე, სადაც იარსებებს აგრეთვე სახლის ქართული განყოფილებაც.

— **ჭიათურის მრეწველობის მოდელი.** საქ. შრომის მუზეუმისათვის ამჟამად ამზადებენ ჭიათურის სამრეწველო რაიონის მოდელს.

— **მუშათა ფაკულტეტებზე.** ტფილისის მუშფაკებზე ამჟამად ირიცხება 1. 609 მსმენელი მათ შორის ქართულ მუშფაკში 836.

— **ნათესების სივრ[ცე].** 1924 წლის განმავლობაში [...] საქართველოში დათესილი ი[...] ხორბლეულით 619 ათასი დე[სე]ტინა მიწა

— **აბრეშუმის მოსავალ[ი].** გასულ წელს საქართველო[ში] მოგროვილ იქნა 139 ათასი ფ[უ]თი ნედლი აბრეშუმის პარკი.

— **ტფილისის მაზრის საბ[ჭოთა] ყრილობა,** განზრახულია მო[წ]ვეულ იქნეს 15 მარტისათვ[ის].

— **წიგნი ზაჰესზე.** ტფილ[ი]სის აღმასკომმა გამოსცა დ[ა]რათებული წიგნი ზემო ავ[ჭა]ლის ჰიდრო—ელსადგურის [შე]სახებ.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე